



**EECMD**  
EASTERN EUROPEAN CENTRE  
FOR MULTIPARTY DEMOCRACY

# კრიზისის გადალახვიდან - XXI საუკუნის საარჩევნო ადმინისტრაციისკენ

რეფორმის პაკეტის ძირითადი ხედვა და პრინციპები

პუბლიკაცია მომზადდა აღმოსავლეთ ევროპის მრავალ-პარტიული დემოკრატიის ცენტრის (EECMD) მიერ, პროექტის - **„დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის მხარდაჭერა და გაძლიერება წინასაარჩევნო პერიოდში“** ფარგლებში. პუბლიკაციაში წარმოდგენილი მოსაზრებები არ გამოხატავს „ღია საზოგადოების ფონდის“ პოზიციას.

**„დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის მხარდაჭერა და გაძლიერება წინასაარჩევნო პერიოდში“** „ღია საზოგადოების ფონდის“ მიერ დაფინანსებული პროექტია და მიზნად ისახავს წინასაარჩევნოდ პოზიტიური პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნას, საქართველოში სამოქალაქო ჩართულობისა და საზოგადოებრივი დისკუსიის გაძლიერებას.

## შესავალი

31 ოქტომბრის არჩევნების შედეგებს ოპოზიციის უნდობლობა, არჩევნების მეორე რაუნდიდან მათი გამოთიშვა და ახლადარჩეული პარლამენტის ბოიკოტი მოჰყვა. დამოუკიდებელი საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლების ანგარიშებიდან ირკვევა, რომ არჩევნების დღეს ბევრი მნიშვნელოვანი ხარვეზი გამოვლინდა, რამაც საარჩევნო პროცესის მიმართ საზოგადოების ნდობა შეამცირა.

ეს და ბევრი სხვა ფაქტორი გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ საარჩევნო ადმინისტრირება ძირეულ რეფორმას საჭიროებს. რეფორმის მიზანი უნდა იყოს ორი პრინციპული ამოცანა: საარჩევნო კომისიის დამოუკიდებლობა, გამჭვირვალობა და მისდამი საზოგადოების ნდობის გაზრდა; საარჩევნო პროცესში დამოუკიდებელი და მასშტაბური სამოქალაქო ჩართულობის უზრუნველყოფა. შედეგად, საარჩევნო პოლიტიკური კულტურისა და პასუხისმგებლობის განვითარება. მხოლოდ ასე, ადმინისტრაციული რეფორმებისა და სამოქალაქო ჩართულობის კომბინაციით გაძლიერდება საარჩევნო პროცესები და მის მიმართ ნდობა.

ცვლილებები, რომელთა მიზანი ხანმოკლე უთანხმოების დაძლევაა, საჭირო და აუცილებელია, მაგრამ ისინი ვერ უპასუხებენ ზოგადად, ქართული დემოკრატიისა და კონკრეტულად, საარჩევნო ადმინისტრირების წინაშე არსებულ სტრუქტურულ გამოწვევებს. მსგავსი ცვლილებები წარსულშიც ხშირად მიუღიათ, მაგრამ მათი მოკლევადიანი მიზნებიდან გამომდინარე, მთავარს - არჩევნების სამართლიანად ჩატარებას და მათი შედეგებისადმი ნდობას ვერ უზრუნველყოფდნენ. მიმდინარე კრიზისის დაძლევა აუცილებელია თუნდაც დროებითი კონსენსუსის საფუძველზე. ამასთანავე, საარჩევნო ადმინისტრაციის ახალ საძირკველზე აშენება პრიორიტეტული უნდა გახდეს: **აუცილებელია საარჩევნო კომისიის პარტიული და პარტიათა ჯგუფების კონტროლისგან სრულად გათავისუფლება და XXI საუკუნის გამოწვევებისათვის უკეთ მომზადება. ამ ამოცანებს მხოლოდ პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებული საარჩევნო ადმინისტრაცია შეასრულებს.**

ეს დოკუმენტი საზოგადოებას სთავაზობს საარჩევნო ადმინისტრირების ძირეულ და პრინციპულ რეფორმას, რომლის განხორციელების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება ოპოზიციასა და მმართველ გუნდს შორის არსებული კონფლიქტისა და არჩევნებთან დაკავშირებული პრინციპული საკითხების მოგვარება, რაც გაზრდის ნდობას და საქართველოში ადმინისტრირებისა და დემოკრატიის ხარისხს გააუმჯობესებს.

დოკუმენტი გამიზნულია იმ პოლიტიკური და სამოქალაქო ჯგუფებისთვის, რომლებიც ჩაბმულნი არიან დემოკრატიისათვის მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ბაზის ფორმირებაში. პოლიტიკური პროცესის დინამიკიდან გამომდინარე, გვესმის, რომ მოკლე ვადებში რთულია ზოგიერთი წინადადების განხორციელება, ამიტომაც, მსგავს შემთხვევებში შეძლებისდაგვარად, ორ ალტერნატივას წარმოვადგენთ.

დასასრულ, ამ დოკუმენტის მიზანი არ არის საარჩევნო ადმინისტრაციის რთული სისტემის ყველა კომპონენტის დეტალური განხილვა. მისი ამოცანაა, წარმოადგინოს ცალკეული კომპონენტების რეფორმის ძირითადი მიმართულებები, რათა ხელი შეუწყოს უფრო საგნობრივ დისკუსიას საარჩევნო რეფორმის პრინციპების შესახებ.

## ნდობისა და ეფექტურობის კრიზისის საფუძვლები

საარჩევნო პროცესისადმი ნდობას საზოგადოებაში საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ზოგადი აღქმა განაპირობებს. რამდენად დამოუკიდებელი და საზოგადოებასთან ანგარიშვალდებული, კომპეტენტური ორგანო ხელმძღვანელობს საარჩევნო პროცესს, დიდწილად განსაზღვრავს იმ სივრცის მასშტაბს, რომელიც საარჩევნო პროცესისა და მისი შედეგების განსხვავებული განმარტებების, აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი განწყობებით მანიპულირებისთვის არსებობს. ამას ორი მთავარი ფაქტორი განაპირობებს: რამდენად არის საარჩევნო ადმინისტრაცია გამიჯნული პოლიტიკური პარტიების, განსაკუთრებით კი, მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ კონტროლს და რამდენად დამაჯერებლად ართმევს თავს მის წინაშე არსებულ გამოწვევებს.

დღეს არსებული სისტემა ასეთია: საქართველოს კანონმდებლობით, საარჩევნო ადმინისტრაცია დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანოა და მხოლოდ პარლამენტის წინაშეა ანგარიშვალდებული. ცენტრალურ დონეზე საარჩევნო ადმინისტრაციის (ცესკო) ფორმირებაში ჩართულნი არიან: პარლამენტი, პრეზიდენტი, პოლიტიკური პარტიები და ნაწილობრივ, არასამთავრობო ორგანიზაციები. პრეზიდენტი არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციის შედეგად შეარჩევს ცესკოს წევრობისა და თავმჯდომარეობის კანდიდატებს. თავმჯდომარეს ხმების ორი მესამედით ირჩევს თავად ცესკო, 5 წევრს - პარლამენტი. ცესკოს დანარჩენ ექვს წევრს ნიშნავენ პარლამენტში წარმოდგენილი პარტიები მათი პარტიული სიების მიერ წინა საპარლამენტო არჩევნებში მიღებული ხმების პროპორციულად. პარტიას შეუძლია, არა უმეტეს სამი წევრი დანიშნოს. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ცესკოში წევრები დანიშნული ჰყავდა სამ პარტიას: „ქართულ ოცნებას“ - 3, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, „ევროპულ საქართველოსა“ და „პატრიოტთა ალიანსს“ - თითო-თითო.

საშუალო (საოლქო) და დაბალ (საუბნო) დონეებზე საარჩევნო კომისიების შექმნის წესი ძირითადად ცესკოს ფორმირების წესს იმეორებს: ორივე დონეზე კომისიის 6 წევრს ირჩევს ზემდგომი კომისია იმ განსხვავებით, რომ საოლქო კომისიის 5 წევრი აირჩევა 5 წლის, ერთი კი - მხოლოდ საარჩევნო პერიოდის ვადით. დანარჩენ 6 წევრს ორივე დონეზე ნიშნავენ პოლიტიკური პარტიები ზემოთ აღწერილი მექანიზმით.

საოლქო და საუბნო კომისიების წევრების არჩევა მარტივ კრიტერიუმებს ეფუძნება: საოლქო კომისიის წევრობის კანდიდატები უნდა ფლობდნენ საარჩევნო მოხელის სერტიფიკატს, ჰქონდეთ უმაღლესი განათლება და იყვნენ უპარტიოები. საუბნო კომისიის წევრობისთვის მხოლოდ და მხოლოდ საჭიროა, კანდიდატი 18 წლის იყოს. კანონი ასევე განსაზღვრავს, ვისი არჩევა არ შეიძლება ზემდგომი კომისიის წევრებთან ნათესაური კავშირებიდან გამომდინარე, ან დანიშვნა - თანამდებობრივი შეუთავსებლობის გამო.

კანონის თანახმად, საარჩევნო კომისიის წევრი დამოუკიდებელია, არ წარმოადგენს მის დამნიშნავ ან ამრჩევ სუბიექტს და თავის საქმიანობაში მხოლოდ კანონით ხელმძღვანელობს. ამ ჩანაწერის მიუხედავად, კომისიის წევრების მიუკერძოებელ და დამოუკიდებელ ადმინისტრატორებად აღქმას ხელს უშლის რამდენიმე გარემოება. კერძოდ:

ცესკოს თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატთა შერჩევა პოლიტიკურ პროცესად აღიქმება, ვინაიდან დამოუკიდებელია პრეზიდენტის გადაწყვეტილებაზე - რომელი არასამთავრობო ორგანიზაციები ჩართოს კონსულტაციებში და რომელი კანდიდატები წარუდგინოს ასარჩევად ცესკოს/პარლამენტს. პარლამენტი, თავის მხრივ, გადაწყვეტილებას იღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. მმართველ პარტიას შეუძლია ისე აირჩიოს ცესკოს წევრები, რომ საპარლამენტო უმცირესობა პროცესში არ ჩართოს.

**საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევა არ ეფუძნება პროფესიულ გამოცდილებას, ცოდნას ან დამსახურებას. ყოველ შემთხვევაში, იმ ხარისხით არა, რასაც კომპეტენტური საარჩევნო ადმინისტრირება მოითხოვს.** საარჩევნო მოხელის სერტიფიკატი მხოლოდ კანონმდებლობის მინიმალურ ცოდნას ადასტურებს და არ გამოდგება კანდიდატთა პროფესიული მომზადების შესაფასებლად, ან მათი შედარებისთვის. საერთო არჩევნების წინ ცესკო და საოლქო საარჩევნო კომისიები დროის სიმციროსა და მსურველთა სიმრავლის გამო ვერ ახერხებენ, პირადად შეხვდნენ და გაესაუბრონ კომისიის წევრობის თითოეულ კანდიდატს. თუმცა, მსგავსი შესაძლებლობის შემთხვევაშიც კი, კანონი ამას არ ავალდებულებს. მეტიც, **კანონი გასაუბრებაზე გამოცხადებას არც კანდიდატებისგან ითხოვს.** ასევე, შეუძლებელია კომისიის წევრობის კანდიდატის პარტიულობის დადგენა, თუ განაცხადში თავად არ მიუთითებს, რაც კონკურსიდან მოხსნის ტოლფასია. იმ პირობებში, როდესაც პოლიტიკური პარტიების წევრთა სია ხშირ შემთხვევაში, არ არსებობს, საარჩევნო ადმინისტრაცია მოკლებულია შესაძლებლობას, კონკრეტული კანდიდატის პარტიული კუთვნილება დაადგინოს.

ვინაიდან კანონი არც თავად ადგენს სხვადასხვა კომისიის წევრთა არჩევნისთვის გონივრულ ობიექტურ კრიტერიუმებს და ამას არც ზემდგომი კომისიებისგან ითხოვს, პოლიტიკური მოთამაშეებისთვის პროცესი გაურკვევლობის საბურველშია გახვეული.

აღნიშნული საკანონმდებლო ჩარჩოს პირობებში ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს არა აქვთ განცდა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირებაში ან თავად ადმინისტრაციის შიგნით გადაწყვეტილებების მომზადებასა და მიღებაში მონაწილეობენ. მხარეებს უჩნდებათ ეჭვი, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის შექმნა და მუშაობა უფრო პოლიტიკურ მიზანშეწონილობას ეფუძნება, ვიდრე დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს. მსგავსი აღქმა არჩევნების სანდოობას მნიშვნელოვნად აზიანებს.

**საარჩევნო პროცესის მამართ ნდობის დეფიციტს დიდწილად ისიც განაპირობებს, რომ ხშირად საარჩევნო ადმინისტრაცია მოკლებულია შესაძლებლობას, საკუთარი უფლება-მოვალეობები პოლიტიკური პარტიებისაგან დამოუკიდებლად აღასრულოს. პოლიტიკურ პარტიებს, თავის მხრივ, გააჩნიათ რიგი პარტიული მოტივები, რაც ხშირად ეწინააღმდეგება ადმინისტრაციის შესაძლებლობას, მოქნილად და რაც მთავარია, დამოუკიდებლად იმოქმედოს.**

**საარჩევნო კომისიის წევრთა ნახევარი სინამდვილეში ანგარიშვალდებულია არა საარჩევნო ადმინისტრაციის, არამედ, მათი საარჩევნო კომისიაში წარმდგენი პოლიტიკური პარტიების წინაშე, საარჩევნო ადმინისტრაცია კი მათზე ზემოქმედების ეფექტურ ბერკეტებს არ ფლობს.** შესაბამისად, იქმნება ვითარება, როდესაც ერთი და იმავე ორგანიზაციის (საარჩევნო ადმინისტრაციის) წევრებს, რიგ შემთხვევაში, წინააღმდეგობრივი მოტივები ამოძრავებთ, რაც ხშირად ქმნის და აღრმავებს პოლიტიკურ კრიზისს.

არსებული შერეული სისტემა პლურალიზმის, კონტროლისა და ურთიერთბალანსის ზედაპირულ შთაბეჭდილებას წარმოშობს. სინამდვილეში ერთგვარად ამუხრუჭებს დემოკრატიული საარჩევნო პროცესების შემდგომ განვითარებასა და საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობის გაძლიერების პროცესს. საჭიროა, საარჩევნო კომისია სრულად დაექვემდებაროს პოლიტიკურ პარტიებს და პარტიებმა საარჩევნო პროცესზე სრული პოლიტიკური პასუხისმგებლობა თავიანთ თავზე აიღონ, ან სისტემა სრულად გათავისუფლდეს მათი გავლენისაგან გადაწყვეტილებების მიღების დროს. ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი უპირატესია საარჩევნო ადმინისტრაციის გაძლიერებისთვის, რისთვისაც, როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის, ისე საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ფორმირების წესი უნდა შეიცვალოს.

**რეალურად, ცესკოს დამოუკიდებლობა ცესკოს მიმართ კომისიის წევრთა ანგარიშვალდებულებას და მათ პარტიული კონტროლისგან გათავისუფლებას მოითხოვს, რასაც არსებული სისტემა**



ვერ უზრუნველყოფს (ამ სისტემის შემქმნელ პოლიტიკურ პარტიებს განსხვავებული მოტივები ამოძრავებდათ). დღეისათვის აუცილებელია, პარტიებმა დათმონ საკუთარი, ვიწროპარტიული პოზიციები და საარჩევნო რეფორმის შექმნისას საზოგადო ინტერესებით იხელმძღვანელონ.

## წინადადებაები რეფორმისთვის

ჩვენ მიერ შემოთავაზებული რეფორმის მოდელი ექვს უმთავრეს პრინციპს ეყრდნობა. ესენია:

1. საარჩევნო ადმინისტრაციის გამიჯვნა პოლიტიკური პარტიების კონტროლისგან და პარალელურად, მათი სადამკვირვებლო როლისა და საამისო რესურსებისა და კომპეტენციების გაზრდა;
2. ცესკოს მიმართ საარჩევნო კომისიის წევრთა და თანამშრომელთა რეალური ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა;
3. საარჩევნო პროცესების მაქსიმალური ავტომატიზაცია და ცალკეული ორგანოების მიერ მათი თვითნებური განმარტებისა და გამოყენების შესაძლებლობების შემცირება;
4. ახალი ტექნოლოგიების დანერგვა საარჩევნო ადმინისტრაციაში, განსაკუთრებით, ხმის დათვლის პროცესში;
5. სამოქალაქო ჩართულობის გაზრდა ხმის დათვლისას;
6. საარჩევნო ადმინისტრაციის უნარების განვითარება და სამუშაო პირობების გაუმჯობესება.

## ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების შერჩევა

მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკის გათვალისწინებით, საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების ორ მოდელს გამოყოფენ: კოლეგიურ საარჩევნო ადმინისტრაციას და საარჩევნო ადმინისტრაციას, რომელსაც ერთი ცენტრალური თანამდებობის პირი - მთავარი საარჩევნო მოხელე ან ოფიცერი ხელმძღვანელობს. ორივეს თავისი უპირატესობები აქვს, მაგრამ დღესდღეობით საარჩევნო ადმინისტრაციის რეფორმასთან დაკავშირებული დისკუსია ისევ კოლეგიური მოდელის ირგვლივ მიმდინარეობს. ჩვენი აზრით, ეს ერთგვარი მიკერძოებაა და ზოგჯერ სხვა, პრინციპულად განსხვავებული მოდელების განხილვაც არის საჭირო.

### პირველი წინადადება: მთავარი საარჩევნო მოხელის სისტემა

როგორც საქართველოს საარჩევნო ისტორია გვიჩვენებს, დაპირისპირებული პარტიებისა და დამოუკიდებელი წევრებისაგან დაკომპლექტებული ცენტრალური საარჩევნო კომისია ვერ ახერხებს, სანდო და ეფექტურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდეს. მიზეზებზე წინა თავში მოკლედ ვისაუბრეთ.

ამის საპირისპიროდ, საქართველოს აქვს წარმატებული გამოცდილება, როგორ შეიძლება, თუნდაც საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ერთპარტიულად დანიშნულმა თანამდებობის პირმა დამოუკიდებელი და ეფექტური ინსტიტუტი ჩამოაყალიბოს. ლაპარაკია სახალხო დამცველის ინსტიტუტზე, რომლის ინსტიტუციურ წარმატებას დიდწილად ისიც განაპირობებს, რომ ცესკოს თავმჯდომარის, ან ცესკოსგან განსხვავებით, სრულადაა უფლებამოსილი, საკუთარი მანდატის ფარგლებში ეფექტური გადაწყვეტილებები მიიღოს. ამ გადაწყვეტილებათა მიღება-აღსრულებას პოლიტიკური პარტიები ვერ შეაფერხებს. ვფიქრობთ, შესაძლებელია მსგავსი მოდელი საარჩევნო ადმინისტრაციის შემთხვევაშიც განვიხილოთ.

შესაბამისად, შესაძლებელია, საარჩევნო ადმინისტრაცია ჩამოაყალიბდეს არა არსებული კოლეგიური პრინციპით, არამედ მთავარი საარჩევნო მოხელის (ოფიცრის ან ადმინისტრატორის) ირგვლივ ორგანიზებულ სისტემად აეწყოს. სწორედ მთავარი საარჩევნო მოხელე უნდა იყოს საარჩევნო ადმინისტრაციის ძირითადი ხელმძღვანელი და უშუალო პასუხისმგებელი; ჰქონდეს ყველა უფლება, საარჩევნო ადმინისტრაციას ეფექტურად უხელმძღვანელოს.

მიუხედავად იმისა, რომ მთავარი საარჩევნო მოხელე საარჩევნო ადმინისტრაციის უშუალო ხელმძღვანელია, მისი და ადმინისტრაციის ზოგადი საქმიანობის, გამჭვირვალობისა და ეფექტურობის შესაფასებლად აუცილებელია მაკონტროლებელი ორგანო არსებობდეს. ასეთია პოლიტიკური პარტიებისაგან შემდგარი „მონიტორინგის საბჭო,“ რომელიც პარლამენტში არჩეულ ყველა პარტიის წარმომადგენელს აერთიანებს. მონიტორინგის ჩასატარებლად პოლიტიკურმა პარტიებმა ადეკვატური სახელმწიფო დაფინანსება უნდა მიიღონ.

#### » მთავარი საარჩევნო მოხელის არჩევა

**მთავარი საარჩევნო მოხელე ე.წ. „ორმაგი უმრავლესობის პრინციპით“ უნდა აირჩიონ. გადაწყვეტილების მისაღებად, სულ მცირე, საპარლამენტო უმრავლესობის ნახევარზე მეტისა და საპარლამენტო უმცირესობის ნახევარზე მეტის მხარდაჭერაა საჭირო.** მართალია, „ორმაგი უმრავლესობის“ მოდელი, ერთი შეხედვით, რთული განსახორციელებელია - პოლიტიკის პოლარიზაციის ხარისხის, დაბალი პოლიტიკური კულტურისა და კონსენსუსის სუსტი ტრადიციის გამო, მაგრამ მას მნიშვნელოვანი უპირატესობები აქვს: პირველ რიგში, პარლამენტის შიგნით შეთანხმებას შეუწყობს ხელს, უბიძგებს მხარეებს, ითანამშრომლონ და ცესკოს წარმატებულ მუშაობაზე პასუხისმგებლობა გაიზიარონ. პარტიებს აიძულებს, ზეპარტიული, ყველა მხარისათვის მისაღები კანდიდატი ეძებონ. ვფიქრობთ, ასეთი პროფესიონალები არცთუ ცოტაა საქართველოში. გარდა ამისა, შერჩევის მსგავსი პროცედურა ხელს შეუწყობს თანამშრომლობას ზომიერ პოლიტიკოსებს შორის, და შეაკავებს რადიკალურ პოლიტიკურ ძალებს და ქვეყანას დაპირისპირებასა და კონფრონტაციას უკეთ ააშორებს. დასასრულ, მრავალპარტიული მანდატი მთავარ საარჩევნო მოხელეს მოქმედების ფართო ასპარეზსა და ნდობის მაღალ ვოტუმს მისცემს.

## საოლქო საარჩევნო კომისიების ფორმირება

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, მოადგილესა და მდივანს ნიშნავს და ათავისუფლებს მთავარი საარჩევნო მოხელე. როგორც ადმინისტრაციის ზედა საფეხურზე, აქაც პოლიტიკური პარტიების კრიტიკულ როლს მონიტორინგი და ზედამხედველობა წარმოადგენს. ისინი აკომპლექტებენ მონიტორინგის საბჭოს საოლქო დონეზე და ამისთვის საჭირო რესურსებს იღებენ.

## საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება

იმ შემთხვევაში, თუკი საარჩევნო ადმინისტრაცია მთავარი საარჩევნო მოხელის/ოფიცრის მოდელის ირგვლივ აეწყობა, საუბნო საარჩევნო კომისიის ფორმირებისთვისაც მსგავსი სისტემა უნდა დაინერგოს. ამ მოდელით საუბნო კომისიის წევრებს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე (ან კომისიის 2/3) დანიშნავს იმ კანდიდატთა სიიდან, რომლებიც შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს აკმაყოფილებენ.

## მეორე წინადადება: კოლეგიური საარჩევნო ორგანო

კოლეგიური საარჩევნო ორგანო საარჩევნო ადმინისტრაციის ის მოდელია, რომელიც საქართველოში ტრადიციულად არსებობს. მას თავისი უპირატესობები აქვს (მაგალითად, გაზიარებული პასუხისმგებლობა, დაბალანსება და კონტროლი), რომლებიც, მართალია, ჩვენს რეალობაში ვერ ამოქმედდა, მაგრამ შესაძლებელია მისი პოტენციალის გამოყენება, თუკი საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების პრინციპები ძირითად შეიცვლება (და არა მხოლოდ დაკომპლექტების ესა თუ ის დროებითი მოდელი).

იმ შემთხვევაში, თუკი ცესკო კვლავ კოლეგიურ პრინციპს დაეფუძნება, კომისიის თავმჯდომარე და მისი წევრები აქაც „ორმაგი უმრავლესობის“ პრინციპით უნდა აირჩიონ. მსგავსი მექანიზმის უპირატესობებზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

## ალტერნატივა

უკიდურესი პოლიტიკური პოლარიზაციის პირობებში, შესაძლოა, საპარლამენტო უმრავლესობამ და უმცირესობამ ცესკოს თავმჯდომარის პოსტზე ორივე პოლიტიკური ბანაკისთვის მისაღები კანდიდატურა ვერ მოძებნონ, რაც კვალიფიციური უმრავლესობით თავმჯდომარის არჩევას საეჭვოს გახდის. ჩიხიდან თავის დასაღწევად შესაძლებელია, საპარლამენტო უმრავლესობას და უმცირესობას მიეცეთ საშუალება, წარადგინონ საკუთარი კანდიდატურები ცესკოს ხელმძღვანელ თანამდებობებზე, პროპორციით - 2 ÷ 1. მაგალითად, საპარლამენტო უმრავლესობა პარლამენტს ასარჩევად წარუდგენს თავმჯდომარისა და მდივნის სამ-სამ კანდიდატურას, უმცირესობა კი თავმჯდომარის მოადგილის სამ კანდიდატურას შესთავაზებს.

მსგავსი წესით შეიძლება ცესკოს სხვა წევრების არჩევაც: უმრავლესობა კანდიდატებს 2 (ან 4) ადგილის, ოპოზიცია - 1 (ან 2) ვაკანტური ადგილის შესავსებად წარადგენს. ცესკოს დანარჩენ წევრებს „კვალიფიციური“ პარტიები დანიშნავენ საკუთარი შეხედულების შესაბამისად, როგორც ამას კანონი ითვალისწინებს (თავის მხრივ, „კვალიფიციურობა“ წინასწარ განსაზღვრულ ობიექტურ კრიტერიუმებს უნდა ემყარებოდეს. მაგალითად: ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მიღებული ხმების რაოდენობას).

ამ წესით ცესკოს დაკომპლექტება, ერთი მხრივ, გაზრდის ოპოზიციის როლს საპარლამენტო ცხოვრებასა და არჩევნების ადმინისტრირებაში, მეორე მხრივ კი, საპარლამენტო უმრავლესობას არ მისცემს იმის განცდის საფუძველს, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის „მიტაცება“ შეიძლება.

» ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობის შესახებ



დღესდღეობით საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია 12 წევრისგან შედგება. მაშინ, როცა Elections Canada-ში (კანადის დამოუკიდებელი საარჩევნო ადმინისტრაცია) საარჩევნო პროცესებს ერთი, მთავარი საარჩევნო ოფიცერი წარმართავს; მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვან დემოკრატიაში - ინდოეთში, ანალოგიურ ფუნქციებს სამ ადამიანს ანდობენ. საქართველოს არჩევნები, მათი ერთგვარი სირთულის თუ მნიშვნელობის მიუხედავად, არ არის იმდენად კომპლექსური, რომ ამხელა საარჩევნო ადმინისტრაცია სჭირდებოდეს. არსებული სისტემა პოლიტიკურ მოთამაშეებს შორის გარიგების პროდუქტია, რის შედეგადაც პარტიები მნიშვნელოვან პოლიტიკურ თუ ფინანსურ დივიდენდებს იღებენ. გარიგებები, როგორც კომპრომისის ნაწილი, მნიშვნელოვანი და გარდაუვალია, მაგრამ ამის მიუხედავად, საქართველო მრავალრიცხოვან ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არ საჭიროებს. მით უფრო, თუ პარტიათა გარიგების შედეგად ქვეყანა ისეთ საარჩევნო ადმინისტრაციას იღებს, რომელიც ვერ უმკლავდება რეალურ გამოწვევებს.

ჩვენი ღრმა რწმენით, მცირერიცხოვანი, ეფექტური და რეალურად დამოუკიდებელი, მაღალპროფესიული ცენტრალური საარჩევნო კომისია ბევრად უკეთ შეძლებს არჩევნების ადმინისტრირებას, ვიდრე განსხვავებული, ხშირად ურთიერთსანინააღმდეგო და პრინციპში, ერთპარტიული უმრავლესობის მიერ დაკომპლექტებული, მუდმივ კონფლიქტში მყოფი ცესკო. საქართველოში საკმარისად არიან დამოუკიდებელი და კომპეტენტური ადამიანები, რომლებიც ამ ამოცანებს წარმატებით გაუმკლავდებოდნენ. **ის, რომ მხოლოდ პარტიათაშორის დაბალანსებისა და კონტროლის მექანიზმებია დამოუკიდებელი და ობიექტური არჩევნების საფუძველი და ეს მხოლოდ დღეს არსებული, შერეული სისტემითაა შესაძლებელი, მოკლებულია პრაქტიკულ დადასტურებას. მსოფლიო გამოცდილება ხშირად საპირისპიროსაც გვიჩვენებს.**

გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა ჩამოყალიბდეს პროფესიული საარჩევნო ადმინისტრაცია, რომლის საქმიანობაშიც პოლიტიკური პარტიები ვერ ჩაერევიან. ასეთი ორგანო შეიძლება იყოს კოლეგიური (რომელიც გადანყვეტილებებს მიიღებს საარჩევნო კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით), ან მის საქმიანობას ერთპიროვნულად „მთავარი საარჩევნო მოხელე“ წარმართავდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ მოხელეს ან კომისიას უნდა ჰქონდეს ყველა სამართლებრივი გარანტია საკუთარი კომპეტენციების განსახორციელებლად. ამავე დროს, სრულად იკისროს არჩევნებზე პასუხისმგებლობა.

## საოლქო საარჩევნო ადმინისტრაციის / კომისიის დაკომპლექტება

საოლქო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებისა და ეფექტურად მუშაობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია როგორც დანიშვნისა და კონტროლის პროცედურების რეფორმა, ისე საკვალიფიკაციო მოთხოვნების ამაღლება და სამუშაო პირობების გაუმჯობესება. უამისოდ ვერც ერთი ცვლილება ვერ მოიტანს საჭირო შედეგებს, რადგანაც კომისიის წევრებს არ ექნებათ შესაბამისი კვალიფიკაცია და მოტივაცია, საკუთარი საქმიანობა მაღალ დონეზე შეასრულონ.

## საოლქო საარჩევნო კომისიის კვალიფიკაციის შესახებ

პირველ რიგში, საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა შერჩევის პროცესი, არსებულთან შედარებით, დამსახურების უფრო მაღალ კრიტერიუმებს უნდა ემყარებოდეს, რაც კანდიდატთა მრავალმხრივ შეფასებაც გულისხმობს (საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნის, უნარ-ჩვევების და ა.შ.). მნიშვნელოვანია, გაიზარდოს საარჩევნო კომისიის წევრთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები

(მაგალითად, უკეთ შეფასდეს კანდიდატების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის საბაზისო ცოდნა და საჭირო ოფიციალური დოკუმენტების შედგენის უნარი).

პრეტენდენტებიდან უნდა შეირჩეს ის კანდიდატი, რომელიც შეფასებისას საუკეთესო შედეგს აჩვენებს. თუ საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატთა რაოდენობა ვაკანტური ადგილების რაოდენობაზე მეტი აღმოჩნდება, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი ამ კანდიდატებიდან მთავარმა საარჩევნო მოხელემ ან ცესკომ (კოლეგიური მოწყობის მოდელის შემთხვევაში) უნდა დანიშნოს ხმათა 2/3 უმრავლესობით.

აღწერილი პროცედურა მოითხოვს შემფასებელი კომისიის შექმნას ან არსებულის გამოყენებას. ამჟამად სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი“ ატარებს საარჩევნო მოხელეთა სერტიფიცირებას, რომლის მიზანია, დაადგინოს კანდიდატთა მინიმალური ცოდნა და კომპეტენცია. არსებული ტესტი ვერ გამოდგება კანდიდატების კომპლექსური შეფასებისთვის. ამ მიზნით შესაძლებელია გამოვიყენოთ სსიპ „შეფასებისა და მომსახურების ეროვნული ცენტრის“ ან მაღალი ნდობის მქონე სხვა ორგანიზაციის/კომპანიის გამოცდილება და კომპეტენცია.

საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები უნდა დაინიშნონ ხელშეკრულების საფუძველზე, უვადოდ და აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები უნდა მოქმედებდეს ნებისმერი ტიპის მოწყობის საარჩევნო ადმინისტრაციაში.

## საუბნო საარჩევნო კომისიების ფორმირება

საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციონირება არჩევნების ადმინისტრირების სწორედ ის დონეა, სადაც ამომრჩეველი რეალურად ხედავს, როგორ მუშაობს დემოკრატია სინამდვილეში. სწორედ უბანზე მიღებული შთაბეჭდილებები განაპირობებს, რამდენად ლეგიტიმურად მიიჩნევენ მოქალაქეები არჩევნებს და რამდენად აქვთ განცდა, რომ მათი ხმა პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანია.

## პირველი წინადადება

საწყის ეტაპზე მიზანშეწონილია საუბნო კომისიის დამოუკიდებელ მოხელეთა რეესტრის შექმნა, რომელშიც მოხვდებიან საზოგადოების მხრიდან ნდობით აღჭურვილი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომელთაც შემდგომში უბნებზე ლოტოტრონის პრინციპით გაანაწილებენ (რეგიონული საზღვრების გათვალისწინებით). როგორც ნებისმიერ მოდელში, ისე ამ მოდელშიც არსებობს რისკები, რომ თუნდაც მაღალი კვალიფიკაციისა და საჯარო ნდობის მქონე, ლოტოტრონის პრინციპით შესაბამისი ბაზიდან არჩეული ადამიანი პარტიული მიკერძობებისა და ინტერესების გამტარებელი აღმოჩნდეს. ასეთი შემთხვევებისგან დასაზღვევად, მთავარ საარჩევნო მოხელეს (ან ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯომარეს) უნდა ჰქონდეს უფლება, ვეტო დაადოს ამა თუ იმ კანდიდატის კომისიის წევრად დანიშვნის საკითხს. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები შესაბამისმა საოლქო საარჩევნო კომისიამ უნდა დანიშნოს.

## გეორა წინადადება

მნიშვნელოვანია, რომ საარჩევნო უბნის დონეზე სამოქალაქო საზოგადოება, ამ ტერმინის უფრო ფართო, ყოვლისმომცველი გაგებით, საარჩევნო დემოკრატიის პროცესებში ჩაერთოს. საქართველოს სახელმწიფო უფრო მეტად უნდა ენდოს საკუთარ მოქალაქეებს და მეტი შესაძლებლობა მისცეს, არჩევნების ბედი გადაწყვიტონ.

სწორედ ამიტომ, პრინციპულად ახლებური და გაბედული რეფორმის განხორციელებაზე ვფიქრობთ. ასეთმა საუბრო საარჩევნო კომისიის რეფორმამ შესაძლებელი უნდა გახადოს მოქალაქეების მეტად ჩართულობა უბანზე ხმის დათვლის პროცესში. **ამ ამოცანის შესრულება შესაძლებელია საუბრო საარჩევნო კომისიების ლოტოტრონის პრინციპით დაკომპლექტების პირობებში, როდესაც საუბრო საარჩევნო კომისიები დაკომპლექტდება შემთხვევითობის (ლოტოტრონის) პრინციპით, ხოლო მასში მონაწილეობა სავალდებულო იქნება საქართველოს ყველა მოქალაქისათვის (განსაზღვრული გამონაკლისების გარდა).**

კომისიის წევრთა დამოუკიდებლობისა და მათზე პოლიტიკური თუ სხვა სახის ზემოქმედების რისკების დასაზღვევად, საუბრო საარჩევნო კომისიების წევრთა ვინაობა არჩევნების დღემდე კონფიდენციალური უნდა იყოს. საუბრო საარჩევნო კომისიების წარმომადგენელთა მომზადებაზე პასუხისმგებელია საარჩევნო ადმინისტრაცია.

ხშირად მიიჩნევენ, რომ ხმების დათვლა ძალზე რთული პროცესია და მას მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიონალი მოხელეები სჭირდება. ამის მიუხედავად, დღევანდელი ადმინისტრაცია საუბრო კომისიის წევრთა კომპეტენციას ბოლომდე ვერ უზრუნველყოფს. კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების მიუხედავად, რომელთაც საარჩევნო ადმინისტრაცია და საერთაშორისო ორგანიზაციები რეგულარულად ატარებენ, საკითხს საუბრო კომისიის შემადგენლობის მაღალი მოთხოვნა ართულებს, რაც პოლიტიკური პარტიების წევრთა ცვლილების შედეგია, ხშირად არჩევნებთან ძალიან ახლო პერიოდში. იმ შემთხვევაში, თუ საუბრო კომისიის წევრობა შემთხვევითობის პრინციპს დაეფუძნება, მასში მონაწილეობა კი სამოქალაქო ვალს გაუტოლდება, საარჩევნო ადმინისტრაცია შეძლებს, საუბრო კომისიების წევრები არჩევნებისთვის უკეთ მოამზადოს.

საუბრო საარჩევნო კომისიების შემთხვევითობის პრინციპით დაკომპლექტებას დამატებითი, უფრო დიდი მნიშვნელობაც ექნება: მოქალაქეთა ფართო ჩართულობა არჩევნების შედეგების გამოვლენაში განამტკიცებს დემოკრატიულ ტრადიციას, ობიექტური და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარება კი უფრო მეტად გახდება პირადი, სამოქალაქო ღირსების საქმე. არასწორია ვიფიქროთ, რომ მოქალაქეები, რომლებიც საარჩევნო ადმინისტრაციის, ან ამა თუ იმ არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები არ არიან, ნაკლებად სამართლიანნი იქნებიან, ან უბნებზე ხმების დათვლასა და მათ დაჯამებას ვერ მოახერხებენ (შესაბამისი ტრენინგის პირობებში). გასულ არჩევნებზე ჩვენ ვნახეთ, რომ მსგავსი ხარვეზები ხშირია არსებულ სისტემაშიც, რასაც პარტიული მიკერძოება და მოტივაციაც განაპირობებს. ასე რომ, არსებული სისტემის რადიკალური რეფორმა, რომელიც ფართო სამოქალაქო ჩართულობაზე დაფუძნებულ საუბრო საარჩევნო კომისიების სისტემას შექმნის, უფრო პერსპექტიული ჩანს, როგორც წმინდა არჩევნების ადმინისტრირების, ისე ზოგადად, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ტრადიციის განმტკიცების თვალსაზრისით: დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტი საქართველოს მოქალაქე დაინტერესდება სამართლიანი არჩევნებით.

## სხვა საკითხები

### » პოლიტიკური პარტიების როლი

როგორც დოკუმენტის დასაწყისში აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია, ცესკომ პოლიტიკური პარტიების კონტროლს თავი რეალურად დააღწიოს. დამოუკიდებელი საქართველოს საარჩევნო ისტორია გვიჩვენებს, რომ მათი მონაწილეობა საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებებში არჩევნების მიმართ ნდობას და მათ სანდოობას არ აძლიერებს.

ეს პოლიტიკური პარტიების მაკონტროლებელი როლის შესუსტებას სულაც არ გულისხმობს. არჩევნებში მონაწილე ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიას საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე სათათბირო ხმის უფლებით თითო წარმომადგენლის დანიშვნა უნდა შეეძლოს. ამასთანავე, პოლიტიკურ პარტიებს უნდა შეეძლოთ საბიუჯეტო რესურსების მიღება ამ ფუნქციების ეფექტურად განსახორციელებლად. დამატებით, ცესკომ მათ უნდა შესთავაზოს სადამკვირვებლო შესაძლებლობების განვითარების ხელმისაწვდომი რესურსები ტრენინგების, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების, საინფორმაციო მასალებისა და პუბლიკაციების სახით.

## საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ანაზღაურების გაუმჯობესება

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების ხელფასი დღეისათვის ოლქების მიხედვით განსხვავდება და 900-დან 1450-მდე ლარამდე მერყეობს. საუბნო კომისიის წევრისა კი 225-312.5 ლარს შეადგენს თანამდებობის მიხედვით. ასეთი ანაზღაურება არ შეესაბამება იმ ამოცანებს, რომელთაც საარჩევნო პრაქტიკა აკისრებს ამ ადამიანებს. საოლქო საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებები რეალურად საარჩევნო შედეგს განსაზღვრავს, საუბნო კომისიები კი საარჩევნო ადმინისტრაციის, მეტიც, დემოკრატიის სახეს წარმოადგენენ არჩევნების დღეს. ამიტომ, აუცილებელია როგორც საოლქო, ისე საუბნო კომისიებში დასაქმებულ ადამიანებს მივცეთ შესაბამისი და ღირსეული ანაზღაურება იმ საქმიანობისთვის, რასაც მათგან საზოგადოება მოითხოვს. სხვაობა, ერთი მხრივ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრისა და, მეორე მხრივ, საოლქო თუ საუბნო კომისიის წევრის ანაზღაურებას შორის დიდია, საბოლოო ჯამში კი ისინი არანაკლებად საპასუხისმგებლო საქმიანობას ასრულებენ.

## ელექტრონული ხმის მიცემა, ხმაის ავტომატური დათვლა და ონლაინ ხმის მიცემის სისტემების დაწესება

თანამედროვე ტექნოლოგიები არჩევნების პროცესის გამარტივებისა და მისი სანდოობის გაზრდისათვის ახალ შესაძლებლობებს გვთავაზობს. ტექნოლოგიებთან დაკავშირებული რისკის შესახებ გავრცელებული მოსაზრების მიუხედავად, ვფიქრობთ, აუცილებელია თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები არჩევნებში დაინერგოს, ვინაიდან რისკი ტექნოლოგიითაც და მის გარეშეც არსებობს. სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, რომ აუცილებელია არჩევნების ადმინისტრაციის ზოგიერთ ეტაპზე ტექნოლოგიის უფრო ღრმა და სწრაფი ინტეგრაცია, ზოგიერთ ეტაპზე კი მისი ეტაპობრივი მომზადება პილოტირების სახით.



პირველი რიგის ამოცანად ხმის დათვლის პროცესის ავტომატიზაცია გვესახება. ამასთან, გამოყენებულ უნდა იქნას პარალელური მიდგომა, რაც გულისხმობს ხმის დამთვლელი მანქანების ან ელექტრონული ხმის მიცემის მოწყობილობების პროცესებში ჩართვას. შედეგად, უბნის შედეგები რეალურ დროში შეჯამდება. ასევე, შესაძლებელი იქნება ქალაქის ბიულეტენების შენახვა და ეგრეთ წოდებული „ქალაქის კვალის“ დატოვებაც. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, თუკი ამა თუ იმ მიზეზის გამო ხმების ხელახალი გადათვლა გახდება საჭირო. გარდა ამისა, საარჩევნო უბანზე მისვლა და ხმის მიცემა ერთგვარი სამოქალაქო, დემოკრატიული რიტუალის ნაწილიც არის, რომელიც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია.

საჭიროა უახლოეს პერიოდში დაიწყო ხმის მიცემის დისტანციური მეთოდების პილოტირება, რაც შესაძლებელს გახდის ხმის მიცემას პირადი ელექტრონული მოწყობილობების გამოყენებით (კომპიუტერი, მობილური ტელეფონი) თუნდაც მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ამომრჩევლებისთვის, რათა უცხო ქვეყნებიდან არჩევნებით მანიპულირების საფრთხე გამოირიცხოს. ეს პროცესი, იმის გარდა, რომ ამომრჩეველთა არაერთ ჯგუფს გაუადვილებს ხმის მიცემას (ხნიერი, შეზღუდული შესაძლებლობების, ახალგაზრდა/პირველი ამომრჩევლები), დამატებითი ბარიერი იქნება ამომრჩევლებზე ზემოქმედების წინააღმდეგ.

## **საარჩევნო რეფორმის პროცესის შესახებ**

არ არსებობს იდეალური საარჩევნო სისტემა - ნებისმიერ მოდელს აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამ დოკუმენტის სახელმძღვანელო პრინციპებად აღებულია საარჩევნო ადმინისტრაციის პარტიული კონტროლისაგან გათავისუფლება, საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიონალიზმისა და ანაზღაურების გაზრდა და სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერება არჩევნების პროცესში. ბუნებრივია, არსებობს სხვა პრინციპებზე დაფუძნებული მოდელები, რომლებიც ასევე საინტერესოა. ამასთანავე, საარჩევნო რეფორმის განხორციელებისას, მის შინაარსთან ერთად, არანაკლები ყურადღება უნდა დაეთმოს რეფორმის პროცესს. სამწუხაროდ, საარჩევნო თუ სხვა მნიშვნელოვანი რეფორმები საქართველოში ხშირად ერთპარტიულად ან პარტიათა მცირე ჯგუფის შეთანხმების საფუძველზე მიმდინარეობს. საარჩევნო რეფორმები იმ რეფორმათა კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც მაქსიმალურად ფართო კონსენსუსს საჭიროებს, რათა უზრუნველყოს პოლიტიკური სტაბილურობა საარჩევნო პერიოდში თუ მმართველი პარტიების ცვლილებისას და თავიდან ავირიდოს ყოველი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფაზის შემდგომ მასშტაბური რეფორმები. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რეფორმების სისწრაფე თუ შინაარსი, არამედ ისიც, რომ მათი მიღება მაქსიმალურად ფართო კონსენსუსსა და მსჯელობას დაეფუძნოს, რაც დამატებით საფუძველს შექმნის საარჩევნო ადმინისტრაციის ეფექტურობისა და მისდამი ნდობის გასაძლიერებლად.

ინკლუზიური რეფორმის პროცესი უფრო აძლიერებს ამა თუ იმ სისტემის მიმართ ნდობას, ვიდრე ერთპარტიულად მიღებული, თუნდაც პოზიტიური ცვლილებები, რომლებიც მუდმივი კრიტიკისა და თავდასხმის სამიზნეა კონსენსუსის, საზოგადოების ჩართულობისა და დაინტერესებულ მხარეთა სუსტი ინფორმირების გამო და რომელთა გადახედვა ან გაუქმება პოლიტიკური ცვლილებების დროს პირველივე რიგის ამოცანა ხდება.





**EECMD**  
EASTERN EUROPEAN CENTRE  
FOR MULTIPARTY DEMOCRACY